Foreign & Commonwealth Office

 კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი
კავკასიური სახლი
THE CENTRE FOR CULTURAL RELATIONS
CAUCASIAN HOUSE

თანამედროვე რუსეთის საგარეო პოლიტიკა

საჯარო ლექციები

„კავკასიური სახლი“ გიწვევთ საჯარო ლექციებზე რუსეთის საგარეო პოლიტიკის შესახებ. ლექციებს წაიკითხავს ტარტუს უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი ანდრეი მაკარიჩევი.

უკვე მეოთხე წელია „კავკასიური სახლი“ შეისწავლის და აქტიურად იკვლევს რუსეთის საგარეო და საშინაო პოლიტიკას, ქართულ-რუსულ ურთიერთობებს და მის სხვადასხვა ასპექტებს. საქართველოსთვის, დღეს არსებული რეალობიდან გამომდინარე, უაღრესად მნიშვნელოვანია ჰყავდეს კადრები და მკვლევრები, რომლებსაც გააზრებული ექნებათ რუსეთის საგარეო პოლიტიკა, ესმით ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესები და მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ, როგორც აკადემიურ სფეროში, ისე პოლიტიკის პრაქტიკულ განხორციელებაში. აღსანიშნავია, რომ ეს კურსი უკვე მეორე წელია ტარდება და მიზნად ისახავს სტუდენტების და ახალგაზრდა მკვლევრების ცოდნის გაღრმავებას რუსეთისმცოდნეობის სფეროში.

ლექციები ჩატარდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსში; მის: ჭავჭავაძის გამზ. # 1

ლექციების განრიგი და თემატიკა:

28 ნოემბერი 12:00 სთ	*აუდიტორია 302, I კორპუსი*	*რუსული იდენტობის ფორმირება: საბჭოთასა და პოსტსაბჭოთას შორის*
28 ნოემბერი 14:00 სთ	*აუდიტორია 302, I კორპუსი*	*რუსეთის ნორმატიული პროექტი: ევროსკეპტიციზმის წყარო*
30 ნოემბერი 16:00 სთ	*აუდიტორია 115, I კორპუსი*	*რუსეთის სამეზობლო პოლიტიკა. (ესტონეთი, უკრაინა, საქართველო)*
1 დეკემბერი 16:00 სთ	*აუდიტორია 115, I კორპუსი*	*სირიის კრიზისის შემდეგ: უსაფრთხოების ახალი დღის წესრიგი რუსეთში*

ლექციების კურსი ტარდება პროექტის „ქართულ-რუსული დიალოგი მშვიდობისა და თანამშრომლობის“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება დიდი ბრიტანეთის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით.

Foreign & Commonwealth Office

THE CENTRE FOR CULTURAL RELATIONS
CAUCASIAN HOUSE

სამუშაო ენა - ინგლისური. დასწრება თავისუფალია!

მსმენელებს, რომლებიც დაესწრებიან ყველა ლექციას, სალექციო კურსის დასრულების შემდეგ გადაეცემათ სერთიფიკატები.

ლექციებზე დასწრების მსურველებმა, გთხოვთ გაიაროთ რეგისტრაცია შემდეგ მისამართზე: http://caucasianhouse.ge/siakhleebi/lectures/

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ პროექტის კოორდინატორს - ანა დვალს ტელ: 577 77 04 09; ელ-ფოსტა: ana.dvali@caucasianhouse.ge

პროფესორ ანდრეი მაკარიჩევის შესახებ

პროფესორი ანდრეი მაკარიჩევი არის ტარტუს უნივერსიტეტის (ესტონეთი) მოწვეული ლექტორი. მისი კვლევის სფერო მოიცავს რუსეთის საგარეო პოლიტიკას და, ევროკავშირსა და რუსეთს შორის ურთიერთობებს. უნივერსიტეტში იგი კითხულობს ლექციებს შემდეგი მიმართულებით: საგარეო პოლიტიკის ანალიზი, გლობალიზაცია, რეგიონალიზმი და ინტეგრაცია ევროკავშირსა და რუსეთის საერთო სამეზობლოში.

სხვადასხვა დროს ის მუშაობდა ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტში (ვირჯინია), კონფლიქტის კვლევების ცენტრში (ციურიხი), საერთაშორის ურთიერთობების დანიურ ინსტიტუტში, აღმოსავლეთ ევროპის კვლევების ცენტრსა (ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი) და ნიჟნი ნოვგოროდის ლინგვისტიკის უნივერსიტეტში. მისი თანარედაქტორობით გამოიცა წიგნი „პოლიტიკური და ეკონომიკური რეჟიმების ცვლილებები რუსეთში“ (Routledge 2013), არის მონოგრაფიის ავტორი „რუსეთი და ევროკავშირი მულტიპოლარულ მსოფლიოში: დისკურსები, იდენტობები და ნორმები“ (ibidem, 2014). მისი სტატიები პერიოდულად იბეჭდება სხვადასხვა ქვეყნის ონლაინ და ბეჭდურ გამოცემებში.

ლექციების კურსი ტარდება პროექტის „ქართულ-რუსული დიალოგი მშვიდობისა და თანამშრომლობის“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება დიდი ბრიტანეთის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით.